„არის საერთო მიზნები, რომლებიც აერთიანებს მსოფლიოს ყველა ქალს, — ეს არის სიყვარული, სიამაყე ოჯახში, შვილებისა და ახლობლების ჯანმრთელობა და ბედნიერება, ეს არის ქვეყნად მშვიდობა. გისურვებთ, რომ ეს სანუკვარი მიზნები განხორციელებულიყოს თითოეული ქალის ცხოვრებაში.

საბჭოთა ქალებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს პრესაში ქვეყნდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა ქალებისადმი. მიმართვაში ხაზგასმულია ის დიდი დამსახურება, რაც საბჭოთა ქალებს მიუძღვით სამშობლოს წინაშე, აღნიშნულია მათი წვლილი ჩვენი საზოგადოების განახლებისა და ქვეყნად მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

• • •

გუშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა. შეხვედრაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

შეხვედრის მონაწილეებმა გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობასთან.

იმავე დღეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა საზეიმო საღამო. ღვაწლმოსილი ქალებისათვის მისალოცად აქ მოვიდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, გ. გ. გუმბარიძე, გ. ნ. ენუქიძე, ო. ვ. ვარძელაშვილი, ბ. დ. მახარაშვილი, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ი. ნ. როდიონოვი, ნ. ა. ფოფხაძე, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე, პ. პ. ჩხეიძე.

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 მარტი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 47 (9966) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

როგორ იქმნება ჰარმონია

საქართველოში დღეს რვა აკრობატი ატარებს მსოფლიო ჩემპიონის უმაღლეს ტიტულს და რვავე ქალია. აქ კიდევ ერთია აღსანიშნავი. ჩვენი სპორტსმენების ამ დიდი წარმატების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ასევე ქალია — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკის აკრობატთა ნაკრების უფროსი ქორეოგრაფი ლალი თავართქილაძე.

ბევრმა როდი იცის, რომ აკრობატების მიერ შესრულებული პროგრამის დაახლოებით ორი მესამედი ქორეოგრაფიაა. ამიტომ ქორეოგრაფის ნიჭიერებაზე ბევრადაა დამოკიდებული სპორტსმენის წარმატება-წარუმატებლობა. ქორეოგრაფში ერთდროულად უნდა იყოს შერწყმული მაღალი გემოვნება, მუსიკალურობა და გამომგონებლობის უნარი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სამივე კომპონენტით უხვადაა დაჯილდოებული უფროსი ქორეოგრაფი. გარდა ამისა, ლალი არაჩვეულებრივი ადამიანური სითბოთი გამოირჩევა. სწორედ ამიტომ იყო, რომ შარშან ბელგიიდან ჩამოფრენის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის რვა-რვა ოქროს მედლის მფლობელებმა — ინგა გიორგობიანმა, ნატალია ანისიმოვამ და სვეტლანა მაკარიჩევამ საქართველოს სპორტის ისტორიაში ეს უნიკალური წარმატება პირველად ლალი თავართქილაძეს მიულოცეს.

● **ქორეოგრაფიული ელემენტების ნიმრავლე აკრობატიკას პირველნდელ სახეს ხომ არ უკარგავს? — ვკითხეთ ლალი თავართქილაძეს.**

იხ. მე.2 გვ.

სურათზე: ლალი თავართქილაძე და თავისი აღსაზრდელები ინგა გიორგობიანი, ნატალია ანისიმოვა და სვეტლანა მაკარიჩევა.

რაზე ოცნებობს კარინ კიოლერერი?

18 წლის ავსტრიელ სამთომოთხილამურეს კარინ კიოლერერს გუდაურში ხელი მოეცარა: სპეციალური სლალომის მეორე ტრასაზე, ზედ ფინიშის წინ, კარი გამოტოვა და მაღალი ადგილისთვის ბრძოლას გამოეთიშა. და მაინც, საღამოს, სასტუმრო „გუდაურში“ გამართულ დახურვის საზეიმო ცერემონიალზეც და მერეც, ევროპის თასის გათამაშების ეტაპის მონაწილეთა და სტუმართა საპატივცემულოდ მოწყობილ ბანკეტზეც, კარინ კიოლერერი საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო. მას გაუთავებლად სთხოვდნენ ინტერვიუს პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები, ხოლო თანაგუნდელები და მეგობრები წამდაუწუმ ულოცავდნენ წარმატებას.

„აკი ხელი მოეცარაო? — იკითხავს, ალბათ, მკითხველი. დიახ, გუდაურის ტრასებზე კარინმა მართლაც ზარუმატებლად იასპარეზა, მაგრამ სამაგიეროდ ნებისმიერი ქალისთვის მეტად სასიამოვნო ჯილდო დაიმსახურა: ევროპის თასის გათამაშების ეტაპზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა იგი ერთხმად აღიარეს შეჯიბრების ყველაზე მომხიბლავ მონაწილედ!

დღეს „მისს „გუდაური-89“ ჩვენი გაზეთის სტუმარია.

MISS GUDAURI — 89

● **რას უამბობდით „ლელოს“ მკითხველებს საკუთარ თავზე?**

— ვარ 18 წლის, ვცხოვრობ კუსლში, ზალცბურგიდან 20 კილომეტრის დაშორებით მდებარე პატარა ქალაქში. წლეულს ვამთავრებ გიმნაზიას და სწავლას გავაგრძელებ ზალცბურგის უნივერსიტეტში გეოგრაფიისა და სპორტის ფაკულტეტზე. 3 წლის ვიყავი, როცა დედამ და მამამ (ისინი საკმაოდ კარგი სპორტსმენები არიან) თხილამურებზე დგომა მასწავლეს და მას შემდეგ ეს ჩემს უსაყვარლეს გასართობად იქცა. 10 წლისა ჩვენი ფედერალური მიწის ნაკრებში შემიყვანეს, 15 წლისა კი ავსტრიის ნაკრებშიც მიმიწვიეს, მეორე წელია, რაც ევროპის თასის გათამაშებაში ვმონაწილეობ. წლეულს, იანვარში, მსოფლიო თასის ერთ-ერთ ეტაპზეც ვცადე ბედი და დებიუტანტისთვის ურიგო შედეგი არ მიჩვენებია: გიგანტური სლალომის ტრასებზე მე-17 და 24-ე ადგილები დავიკავე. საკმარისია?

● **გუდაურში პირველად ჩამოხვედით?**

— დიახ! სასტუმროს რომ მოვაღწიეთ, უკვე ბნელოდა, მეორე დღეს კი ისეთი ბურუსი იყო, ვერაფერს დაინახავდი. სამაგიეროდ, როცა გამოიდარა, აქაური ბუნების სილამაზემ პირდაპირ სუნთქვა შემიკრა. კავკასიონზე ბევრი მსმენია, მაგრამ ასეთი ლამაზი თუ იყო, მაინც ვერ წარმოვიდგენდი. უამრავი ფოტო გადავიღე. მამაჩემს რომ ვაჩვენებ, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მოინდომებს საქართველოში ჩამოსვლას. მისი ჰობი ხომ მთაში სიარულია.

● **თქვენც გაქვთ რაიმე გატაცება? რა თქმა უნდა, თხილამურების გარდა.**

— მთაში სიარული მეც მიყვარს. გარდა ამისა, მაქვს კიდევ ორი ჰობი — ვიწესერფინგი და ცეკვა.

● **რას ისურვებდით?**

— სპორტში — მეტ სტაბილურობას და მსოფლიო თასის გათამაშებაში წარმატებას, მით უფრო, თუ მისი ერთ-ერთი ეტაპი გუდაურში ჩატარდება, პირად ცხოვრებაში — ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

● **„ლელოს“ მკითხველთა სახელით ამ ოცნებათა ახრულებას გისურვებთ. დიდი მადლობა ინტერვიუსთვის.**

ესაუბრა დავით ბაბაბაძე.

გვიმრავლოს!

ვინ მოთვლის, რამდენი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს საქართველოს სპორტის ისტორიაში ჩვენი რესპუბლიკის ქალებმა. არ არსებობს სპორტული ტიტული, რომელიც მათ არ მოეხვეჭოთ მსოფლიო სარბიელზე. ტრადიცია კი გრძელდება.

რესპუბლიკის ქალები სპორტის მრავალ სახეობაში დღეს ტოლს არ უდებენ მეტოქეებს. ამჟამად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს სპორტის სახეობათა თავისებური ემანსიპაცია. სუსტი სქესის წარმომადგენლები თამამად ითვისებენ წმინდა მამაკაცურ სახეობებს. ამ პროცესებს არც ჩვენი ქალები ჩამორჩებიან.

რესპუბლიკის სპორტსმენ ქალებს დიდი წვლილი შეაქვთ ქართული სპორტის წინსვლა-განვითარებაში.

გვიმრავლოს!

ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

დინამოელთა ბოლო საკონტროლო მატჩი

ახალი საფეხბურთო სეზონის წინ თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა თავის საწვრთნელ ბაზაზე დიღომში გუშინ საკონტროლო მატჩი ჩაატარა მინსკის „დინამოსთან“. შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 4:0.

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ხუთშაბათს, 9 მარტს, 10 საათზე ახალი საფეხბურთო სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გაიმართება ჟურნალისტების შეხვედრა „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ГУДАУРИ-89

ქალები, რომლებიც ბიზნესმენობას აპირებენ

● კიმ! — შევაჩერეთ სახტუმრო „გუდაურის“ ჰოლში მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენი, ამერიკელი სამთოსამთხილამურე ქალი შმიდინგერი.

— უკაცრავად, მაგრამ მე კრისტა გახლავართ!

● მაგრამ, თქვენ ხომ ახე ძალიან გევხართ კიმს.

— დიახ, თუმცა, არა იმაზე მეტად, ვიდრე ტყუპისცალი, ტყუპისცალს (რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ ამაში აშკარად დავრწმუნდით, როცა საუბარს მეორე დაც შემოუერთდა. ჩვენს შეკითხვებზე ორივე იძლეოდა პასუხს).

● როგორ ფიქრობთ, თქვენს შორის რომელია უფრო ძლიერი მოთხილამურე?

— თითოეულს თავისი საყვარელი სახეობა გააჩნია, კიმი — უფრო ძლიერია სლალომში, კრისტა—სწრაფდაშვებაში. 1987 წელს შვეიცარიაში კიმი გახდა იუნიორთა შორის ჩემპიონი სლალომში, კრისტა კი ასევე მსოფლიო ჩემპიონატზე 1988 წელს იტალიაში მეექვსე იყო კომბინაციაში (სწრაფდაშვება პლუს სლალომი).

● საინტერესოა, როგორი დამოკიდებულება გაქვთ ერთმანეთში, დედმამიშვილობა ხელს ხომ არ გიშლით სპორტულ დავაში, კერძოდ კომბინაციაში გამოსვლისას?

— ჩვენ ერთმანეთის გულშემატკივრები ვართ, დის გამარჯვება, ისევე გვახარებს, როგორც საკუთარი წარმატება.

● თქვენ მასაჩუსეტსის შტატიდან ბრძანდებით, იქ, რამდენადაც ვიცით, თოვლი ხშირად როდი მოდის. რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?

—ვვარჯიშობთ სამთოსათხილამურო სპორტის აკადემიაში, რომელიც ჩვენი სახლიდან მანქანით ორი საათის სავალზეა, გვავარჯიშებს მამა. სხვათა შორის, თქვენ უკეთესი შესაძლებლობა გაქვთ ბავშვები აზიაროთ სამთოსათხილამურო სპორტს, გუდაური ხომ ასე ახლოსაა თბილისთან. გოცებულიც კი დავრჩით, როცა შევიტყვეთ, რომ გუდაურში არც თუ ისე ბევრი მოყვარული დადის. არც გულშემატკივრებით ვიყავით განებივრებულნი.

● ამერიკაში პოპულარულია სამთოსათხილამურო სპორტი?

— ცხადია, სპორტის ეს სახეობა ვერც ბეისბოლს და ვერც ამერიკულ ფეხბურთს შეედრება პოპულარობით, მაგრამ ჩვენის აზრით, ადამიანი, რომელიც ერთხელ მაინც დაეშვა თხილამურებით მთიდან, შეუძლებელია კიდევ არ მოინდომოს განიცადოს ეს სიამოვნება.

● თხილამურები ეს თქვენი ერთადერთი გატაცებაა?

— პრაქტიკულად ასეა, შარშან ივნისში სკოლა დავამთავრეთ და მას შემდეგ მთელ დროს თხილამურებს ვუთმობთ. ზოგჯერ ზაფხულის თვეებში ვმუშაობთ — ფულს ვაკეთებთ, ამერიკაში ეს საერთოდ მიღებულია. 14-15 წლის ასაკში ყველა მოზარდი ცდილობს იშოვნოს ჯიბის ფული. ჩვენ ხან ოფიციანტებად ვმუშაობთ, ხან საცურაო აუზში სისუფთავეს ვიცავთ, ხან ჩოგბურთის კორტებზე ვართ, როგორც სპარინგ-პარტნიორები.

● გოგოებო, თქვენ ჯერ 18-18 წლისანი ხართ, ასე რომ, ჯერ კიდევ დიდხანს იდგებით თხილამურებზე. მერე?

— სურვილი გვაქვს ჩავაბაროთ კოლორადოს უნივერსიტეტში.

● რის შესწავლას აპირებთ?

— რასაკვირველია ბიზნესისას!

ესაუბრა **პეპი ბოჰორიშვილი.**

ესეც სპორტის წმინდა მამაკაცურ სახეობათა ემანსიპაციის ნიმუში! ქალთა ძიუდო, ქალთა ფეხბურთი! — ადრე ეს ვერავის წარმოედგინა, დღეს... დღეს კი მთელ მსოფლიოში ქალებიც ისევე გატაცებით თამაშობენ ფეხბურთს და ისევე თავგამოდებით იბრძვიან ტატამზე, როგორც მამაკაცები. ცხოვრება წინ მიდის!

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

სადაც ჭიდაობა ზეიმია

შეიძლება ითქვას, რომ საგარეჯოელებისათვის ნებისმიერი რანგის შეჯიბრება ჭიდაობაში ზეიმია. ქალაქის ცენტრში მდებარე ჭიდაობის დარბაზი აქაურებისთვის ისეთივე პოპულარული და საყვარელი ადგილია, როგორიც სპორტის სასახლეა თბილისელთათვის. მათაც ჰყავთ თავიანთი კერპები, სახელოვანი ფალავნები (მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა), რომელთა სახელებითაც ამაყობენ კიდეც.

ამ დღეებში აქაური სარბიელი მასპინძლობდა 15-16 წლის ჭაბუკთა შორის კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს პირადი პირველობის მონაწილეებს. დარბაზში ყველა ასაკის უამრავი მაყურებელი იყრიდა თავს, რომლებიც აღტაცებითა და ოვაციით ხვდებოდნენ ლამაზად ჩატარებულ ყველა ილეთსა თუ შეხვედრას. მაყურებელი დამოკიდებულებაში იკვეთება რამდენად კარგად ესმით მათ ჭიდაობაც და ქომაგობაც. გულშემატკივართა ქცევაში ცოტა უკმაყოფილებაც გამოსჭვიოდა იმის გამო, რომ საგარეჯოელებმა ვერც ერთი საპრიზო ადგილი ვერ მოიპოვეს, მაგრამ ამის გამო სიტყვაც ვერ დავაცდევინეთ, ურყევად სწამთ, რომ ადრე თუ გვიან აქაურთა უნარი მაინც იჩენს თავს. მასპინძელთა ამ წარუმატებლობის მიუხედავად, მაყურებლები სხვა გუნდების ღირსეული წარმომადგენლების წარმატებას გამამხნევებელი შეძახილებითა და ოვაციებით ხვდებოდნენ.

როგორც შეჯიბრების ორგანიზატორებმა აღნიშნეს, პირველობა საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო, უძლიერესის სახელისთვის 13 წონით კატეგორიაში 23 გუნდის 207 სპორტსმენი იბრძოდა.

ასპარეზობაზე მხოლოდ თბილისი წარსდგა ორი გუნდით, ერთში იყვნენ ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრები, მეორეში — სპორტული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები. საპრიზო ადგილები ძირითადად ათამდე გუნდის წარმომადგენლებმა გაინაწილეს. ცამეტი გუნდი უმედლოდ დარჩა. აშკარად საჭიროა, რომ ამ ქალაქებსა და რაიონებში მეტი ყურადღება მიექცეს კლასიკური ჭიდაობის განვითარებას. თქმა იმისა, რომ ისინი ცუდად მომზადებული ჩამოვიდნენ შეჯიბრებაზე, იქნებ არ შეიძლება, მაგრამ მომზადების შეფასების კრიტერიუმი ჯერჯერობით მაინც დაკავებული საპრიზო ადგილებია. რაც შეეხება ზოგიერთი რეგიონის სპორტის მესვეურთა საქმისადმი დამოკიდებულებას, ვინც შეჯიბრებაზე გუნდი არ ჩამოიყვანა, კომენტარი არ სჭირდება.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით: **39 კგ.** გიორგი ფრეტუაშვილი (გარდაბანი); **42.** გოჩა ბოცვაძე (სამტრედია); **45.** კახა ხეცურიანი; **48.** გოჩა ჩიხლაძე (ორივე — ქუთაისი); **52.** გელა ლელაძე (ბორჯომი); **56.** იაშა ბოკუჩავა (მახარაძე); **60.** შალვა იშხანიშვილი (თბილისი); **64.** თენგიზ მელუა (მახარაძე); **69.** მურმან ვახტანგაძე (აჭარა); **74.** დავით დოლიძე (მახარაძე); **80.** კახა შელაძე; **87.** დავით ენდელაძე (ორივე — ქუთაისი); **მძიმე წონა.** ბაკური გოგიტიძე (თბილისი).

პირიბე გვარლიანი.

გადაძალვა თუ მკლავჭიდი?

ახლახანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის მოყვარულთა თაოსნობით ახალ სპორტულ შეჯიბრებას დაედო სათავე. ლაპარაკია მკლავის სპორტულ გადაძალვაზე.

ახალი ამ საქმეში, შესაძლოა, ბევრი არაფერია, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ აღორძინდა სპორტის ასეთი ვაჟკაცური, ათლეტური სახეობა — დიდად სასიამოვნო და სასარგებლო საქმეა.

მახსოვს ჩემს ბალღობაში, სოფელ არადეთში დიდი და პატარა ეჯიბრებოდა ერთმანეთს მკლავის გადაძალვაში. ვინც მკლავს გადაძალავდა—კაციც ის იყო! იმართებოდა შეჯიბრებები, იყო დიდი ხალისი და გამოცოცხლება, მხიარულება. მჯობნის მჯობნი არ ილეოდა, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მეზობელი სოფლების მკლავმაგარი ბიჭებიც, არც ის იყო ხოლმე იშვიათი, როცა ქალიც გადაუწევდა მკლავს კაცს. აბა, მაშინ გენახათ ხმაური და ჟრიამული.

ერთი სიტყვით, მკლავის სპორტული გადაძალვა ფრიად საინტერესო შეჯიბრებაა, იგი უთუოდ ფართოდ მოიკიდებს ფეხს ჩვენში, უნივერსიტეტელებს სხვა ფიზკულტურული კოლექტივებიც აუბამენ მხარს.

მაგრამ რატომ ვარქმევთ ამ შეჯიბრებას მკლავის სპორტულ გადაძალვას? გადაძალვა ბევრ სხვა რამეზეც შეიძლება ითქვას, ვთქვათ, ბაგირის გადაძალვა. ამიტომაც ჯობია მას ამთავითვე შევარქვათ სხარტი, ლაზათიანი, მოხდენილი ქართული სახელი — მკლავჭიდი. ასეთი სახელწოდება ხპორტის ამ სახეობის გავრცელებასაც შეუწყობს ხელს, სათქმელადაც უფრო მარჯვეა.

თენგიზ თომაძე,
პოლიგრაფიტი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ხუთი ტურის შემდეგ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება ქალთა 45-ე რესპუბლიკური ჩემპიონატი.

V ტურში საინტერესო გამოდგა ნათია ჯანჯღავასა და სოფიკო ტერელაძის პარტია, რომელიც დაძაბული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა.

პირველი დამარცხება იწვნია ერთ-ერთმა ლიდერმა ნატო ეძგვერაძემ. იგი ქუთაისელმა ოსტატმა ჰენრიეტა ლაგვილავამ დაამარცხა.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ფახიროვა-ალიხანაშვილი — 1:0, მესხი-კურცხალია — 0,5:0,5, ხურციძე — თანდაშვილი — 0,5:0,5, ჩაიკოვსკაია—კობაიძე — 0,5:0,5, თვაური — მელაშვილი — 0,5:0,5, გადაიდო სადუნიშვილი — მერეკლიშვილისა და ქასოშვილი—ხუგაშვილის პარტიები.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: ნათია ჯანჯღავა, ნინო ხურციძე — 3,5-3,5, ეკატერინე ფახიროვა — 3 (1).

თამარ ხმიადაშვილი.

როგორ იქმნება ჰარმონია

(დასასრული)

— პირიქით, ქორეოგრაფიის აკრობატიკასთან შერწყმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, აკრობატიკისთვის თავის თავთან დაბრუნებაა. აკრობატიკა ხომ ბერძნული სიტყვაა და ფეხის წვერებზე სიარულს ნიშნავს. მათმა ხელახლამ შეხვედრამ ეს სახეობა უფრო გაამდიდრა, გაამრავალფეროვნა

● ალბათ იმავე „მიზიდულობის კანონებმა“ განაპირობა ის, რომ ქორეოგრაფმა ბედი აკრობატს დაუკავშირეთ? (ლალი თავართქილაძის მეუღლე ცნობილი მწვრთნელი ზემოთ დასახელებული რვა მსოფლიო ჩემპიონის აღმზრდელი ვლადიმერ გურგენიძეა).

— შეიძლება, ჩვენ ხომ ბევრი საერთო ინტერესი გვქონდა. შემოქმედებით წარმატებას თუ წარუმატებლობას ერთად ვიზიარებდით. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბედნიერება ხომ ისაა, როდესაც აღიარებენ შენს ნააზრევს, გაკეთებულ საქმეს. ამ სიხარულის გარეშე ალბათ გაგვიჭირდებოდა იმ სტრესების გადატანა, რაც მუშაობის დროს გვხვდება.

● უფრო კონკრეტულად ხომ ვერ გვიამბობთ თქვენს საქმიანობაზე?

— ქორეოგრაფის მოვალეობაში შედის შეგირდების მომზადება გაკვეთილის ძირითადი აკრობატული ნაწილისთვის (საერთო ფიზიკურ-განმავითარებელი ვარჯიშები). ჩვენი საქმიანობის უმთავრესი მიზანი კი ისაა, რომ შევქმნათ საერთო კომპოზიცია, აკრობატული ელემენტები ქორეოგრაფიის ფონზე გავანაწილოთ. დღეს, როდესაც ასე გართულდა ვარჯიშები, აკრობატიკას ქორეოგრაფიის გარეშე გაუჭირდებოდა. იგი რთული ტრიუკების შემდეგ სპორტსმენს „ამოსუნთქვის საშუალებას“ აძლევს.

● ძნელი ხომ არ არის გუნდში საკუთარ მეუღლესთან ერთად მუშაობა? რაც უნდა იყოს, ოჯახის უფროსს პრინციპული საკითხების გადაწყვეტაში პრიორიტეტი ეკუთვნის....

— სამსახურში ამ მხრივ ჩვენს შორის ნამდვილი ბიარქატია. ვოვას ჩემი სჯერა, მე — იმისი. უამისოდ ალბათ, ოჯახსაც ვერ შეექმნიდით, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კამათი არ მოგვდის. უამისოდ წარმოუდგენელია შემოქმედებითი მუშაობა.

დღეს გურგენიძეების ოჯახში ორი ბიჭი იზრდება. უფროსი, რეზო, სამი წლისაა, უმცროსი, თეიმურაზი, — წლინახევრისა. ვულოცავთ ოჯახის დედას და მის შეგირდებს რვა მარტს და ვუსურვებთ ოჯახს ახალ წარმატებებს.

ჯემალ კასრაძე.

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სპორტსახკომი, სახალხო განათლების სამინისტრო, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭო, მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 75 წლისა გარდაიცვალა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, შრომისა და ომის ვეტერანი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პროფესორი

დიმიტრი მელიტონის ძე იოსელიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს.

საქართველოს სპორტსახკომში

საქართველოს სპორტსახკომმა შექმნა დ. მ. იოსელიანის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ნ. ენდელაძე (კომისიის თავმჯდომარე), თ. გაჩეჩილაძე, ო. გოგიაშვილი, ო. დიდებულიძე, ა. მეიფარიანი, კ. სუჯაშვილი, ვ. შუბლაძე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

როცა ლიდერობა მძიმე ტვირთია



თბილისი. საქართველოს სპორტსახკომის, ცენტრალური სასწავლო-საწვრთნელი კომპლექსის საცურაო აუზი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ლვოვი) 6:6 (1:1, 1:1, 2:2, 2:2).

„დინამო“ (თბილისი): მიხეილ გიორგაძე, მიხეილ გიორგაძე (II), ზუმბულიძე, გვახარია, კუტიავაძე, დავითიანი, რამიშვილი; ბაღათურია, ბითაძე, ნიკოლაიშვილი, კანდელაკი, მაჭავარიანი, რამიშვილი.

„დინამო“ (ლვოვი): ეგოროვი, როზდესტვენსკი, ბერენდიუგა, სტარუსევი, პროკოპჩუკი, სმირნოვი, ხარინი, სიდოროვიჩი, ანდრეევი, პროკოპენკო, პოტულნიცკი, გლუშკო.

ლვოველი წყალბურთელები უკანასკნელ წლებში აღმავლობას განიცდიან და მედლების მოპოვებას ჯიუტად ცდილობენ. სხვა გუნდები სამეულში შედიან და გამოდიან, ლვოველებმა კი სპორზო ადგილის ზღურბლს ვერა და ვერ გადააბიჯეს. შარშანაც და შარშანწინაც ამ გუნდმა მეოთხე ადგილები დაიკავა და წლეულსაც მედლების მოპოვების პრეტენდენტად ითვლება.

მაღლობა ღმერთს, წლეულს თბილისის „დინამოსაც“ ასეთივე პრეტენზიები გაუჩნდა და პირველივე ტურიდან ლიდერთა შორის დამკვიდრდა.

პირველი წრის ბოლო მატჩში ეს ორი ვუნდი ერთმანეთის პირისპირ დადგა.

დაიწყო თამაში და მალე ნათელი გახდა, რომ მეტოქეები ერთმანეთს უფრთხოდნენ. ეს გასაგებიცაა, პირველი წრის ფინიშამდე წვითა და დაგვით მოპოვებული პოზიციების შერყევა არც ერთს არ უნდოდა. ამიტომაც იყო, რომ ერთიცა და მეორეც უმთავრეს ყურადღებას დაცვაში თამაშს აქცევდა, იერიშებისას კი ბურთი რომ არ დაეკარგათ, უკანასკნელ მომენტამდე კარში არ ტყორცნიდნენ.

მატჩი იმთავითვე დაძაბულად დაიწყო და წყალბურთელები, როგორც იტყვიან, ჯარიმის ზღურბლზე თამაშობდნენ, მაგრამ რაკი უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, შემდეგ აკრძალულ ილეთებსაც ვიმართეს. მსაჯებს 35 წამით ხან ერთი მხარის მოთამაშის გაძევება უხდებოდა, ხან მეორისა. მეორე ტაიმში მსაჯებს ერთდროულად კუტიავაძესა და როჟდესტვენსკის გაძევებაც მოუხდათ, თანაც თამაშის ბოლომდე, შეცვლის უფლების გარეშე.

მოთამაშეთა გაძევებისას ორივე გუნდის მთავარი იარაღი უნდა გამხდარიყო რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების უნარი, მაგრამ თბილისელებიცა და ლვოველებიც თავიანთი კარის მისადგომებთან ბეტონის კედლებივით იყვნენ აღმართულნი. მეტოქეებს ცხრა-ცხრაჯერ აღმოაჩნდათ რიცხობრივი უპირატესობა, მაგრამ მიზანს ორივემ მხოლოდ ოთხ-ოთხჯერ მიაღწია.

საბოლოოდ ფრე — 6:6. ეს ანგარიშიცა და თითოეული პერიოდის შედეგიც ნათლად გამოხატავს ძალთა თანაფარდობას.

ამ შეხვედრაში მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს: რამიშვილმა, კანდელაკმა (2-2), გვახარიამ, დავითიანმა; სტუმართაგან — ბერენდიუგამ (2), სიდოროვიჩმა, სტარუსევმა, პოტულნიცკიმ და გლუშკომ.

მატჩის შემდეგ გავესაუბრეთ თბილისის „დინამოს“ გუნდის უფროს მწვრთნელს გივი ჩიქვანაიას.

● ჩვენმა წყალბურთელებმა გაცილებით შედეგიანად დაასრულეს პირველი და მეორე ტურის მატჩები, შინ კი 6 შესაძლებლიდან მხოლოდ 3 ქულა აიღეს. რითი შეიძლება ეს აიხსნას?

— ბიუები ფსიქოლოგიურად გადაიღალნენ. ისინი ლიდერები არასოდეს ყოფილან და რაკი წლეულს მთთვის უჩვეულო სიტუაციაში აღმოჩნდნენ, ამან გუნდზე თავისი უარყოფითი გავლენა იქონია. თბილისში ისინი ყველა გუნდს წინააღმდეგ შიშით გამოდიოდნენ. ეშინოდათ მონაპოვარი არ დაეკარგათ და ზედმეტად ნერვიულობდნენ. ლვოველებთან შეხვედრამდე ღამით ვერაფრით დაწყნარდნენ და იმის ნაცვლად, რომ მშვიდად ეძინათ, მომავალ ორთაბრძოლაზე ფიქრობდნენ. აი, ჩვენ რომ მეხუთე-მეექვსე ადგილზე ვყოფილიყავით და დასაკარგი არაფერი გვქონოდა, ლვოველებს უთუოდ მოვუგებდით.

● ასეთი ნერვიულობით ხომ შეიძლება ყველაფერი წყალში გადაიყაროს?

— რა თქმა უნდა, მაგრამ მეორე წრის შეხვედრამდე სულის მოთქმის საშუალება გვექნება. ბრძოლა 1 აპრილიდან განახლდება და ჩვენ კვლავ მასპინძლების როლში გამოვალთ. ვიმედოვნებ, ყველაფერი თავისი კალაპოტით წარიმართება.

გავესაუბრეთ საკავშირო სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს წყალბურთში იური ზაიცევსაც.

● როგორ აფასებთ მასპინძელთა გამოსვლას თბილისში?

— ისინი, ეტყობა, ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული, თავდაუზოგავად იბრძვიან. მათ მოსკოვის უნივერსიტეტთან მეტად დასანანი მარცხი იწვნიეს. თბილისელები მოსკოველებთან შეხვედრის წინ ერთპიროვნულად ლიდერები იყვნენ და მეტოქის ძალა, ჩემი აზრით, სწორედ ვერ შეაფასეს. ამიტომ იყო, რომ პირველი ტაიმი მასპინძლებმა პირწმინდად — 0:5 წააგეს. თუმცა, „უნივერსიტეტი“ ძლიერი გუნდია. მასთან თბილისელთა დამარცხება მოულოდნელი სრულიადაც არ იქნებოდა და არც მასპინძელთა გამარჯვება გაგვაკვირვებდა. ქართველ წყალბურთელებს მეტოქე სერიოზულად რომ შეეფასებინათ, შეხვედრის ბედი ალბათ ბოლო წამებზე გადაწყდებოდა.

● თქვენი აზრით, რამ განაპირობა წლევანდელ სეზონში თბილისელთა აღზევება?

— გუნდში ახალი უფროსი მწვრთნელი მოვიდა, გამოცდილი და თავისი საქმის ჩინებული სპეციალისტი. რა თქმა უნდა, ახლა რომ თბილისელები ლიდერები არიან, ამაში ჩიქვანაიას დიდი წვლილი მიუძღვის. დარბაზიდან შემადგენლობა კარგადაა დაკომპლექტებული, ახლა იგი უფრო დისციპლინირებულ[illegible] და [illegible] [illegible] [illegible]



სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალათბურთში

ქალთა ქალათბურთის დღეები თბილისში

მარტში კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა ქალათბურთის სასახლის სარბიელი უმაღლესი ლიგის ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს დაეთმობა. უფრო სწორად, ამ მოედანზე აბოვიანის „ადისი“ უმასპინძლებს მეტოქეებს.

14-15 მარტს სომხეთის გუნდი სვერდლოვსკის „ურალმაშს“ შეხვდება, 21-22 მარტს — მოსკოვის ოლქის „სპარტაკს“. 27-28 მარტს — ვოლგოგრადის „დინამოს“, 30-31 მარტს კი ლენინგრადის „ელექტროსილას“.

დუბლიორთა თამაში 18 საათზე დაიწყება, ძირითადი შემადგენლობებისა კი 20 საათზე.

ძვირფასო მეგობრებო! ვისაც ქალთა ქალათბურთი გიყვართ, გეძლევათ საშუალება ნახოთ უმაღლესი ლიგის ქალთა გუნდების თამაში. ასეთ სანახაობას ჩვენ დიდი ხანია მოკლებული ვართ, არა და, იყო დრო, როცა ქალთა ქალათბურთი ჩვენშიც პოპულარულ სპორტად გარდათ. შეზღუდული სიმეტრიის გუნდმა „ალსუმ“ თბილისი ამ პინძელ ქალაქად აირჩია და იმედია, რომ ჩვენც მის მიმართ საკადრის მასპინძლობას გამოვიჩენთ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალათბურთში

პირველ ტაიმში შკვთ

გაიმართა უმაღლესი ლიგის ქალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩი.

პანევეჟისი. როგორც ვიუწყებოდით, ვილნიუსის „სტატიბამ“ პირველი მატჩი მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კოლექტივს 16 ქულით მოუგო. აი განმეორებით შეხვედრაში კი წარმატებას მინსკელმა ქალათბურთელებმა მიაღწიეს — 91:85.

რიგა. დონეცკის „შახტიორის“ ქალათბურთელები საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩების პირველ ნახევარს, როგორც წესი, იგებენ, მეორეში კი მარცხდებიან. ამ ტრადიციას „შახტიორმა“ არც რიგაში უღალატა. პირველი ტაიმი ადგილობრივ ვეფ-ს მან 3 ქულით მოუგო, ბრძოლა კი 7 ქულით დამთო — 86:93. რიგელმა ქალათბურთელებმა, როგორც იქნა, სატურნირო ცხრილში მეხუთე გამარჯვება ჩაიწერეს.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 მარტისათვის				
„დინამო“ (მ.)	32	21	11	53
ასკ (ალმა-ათა)	30	20	10	50
ცსკა	29	20	9	49
„უალგ.“ (კაუნ.)	24	22	2	46
„კალევი“ (ტალ.)	30	15	15	45
„სტატ.“ (ვილ.)	30	15	15	45
„სტროიტ.“ (კ.)	24	20	4	44
„დინამო“ (თბ.)	32	12	20	44
ვეფ (რიგა)	34	5	29	39
რტი (მინსკი)	26	11	15	37
„სპარტ.“ (ლენ.)	30	6	24	36
„შახტ.“ (დონ.)	27	7	20	34

სსრ კავშირის პირველობა

1 ლიგა

ორი მატჩი პენზის „სპარტაკთან“

პირველი ლიგის ქალათბურთელ ქალთა გუნდებმა თბილისში მორიგი ტურის მატჩები ჩაატარეს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი ამჯერად პენზის „სპარტაკს“ მასპინძლობდა.

პირველ შეხვედრაში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. ყოველ შემთხვევაში, მათ ტაიმიც მოიგეს (35:28) და 36-ე წუთამდე ანგარიშიც მიჰყავდათ — 63:54. ბოლო ოთხ წუთში ბევრი გაუგებრობა მოხდა, დაიკარგა ეს უპირატესობაც და ბოლოს ქულით დავთმეთ ბრძოლა — 66:67.

განმეორებით შეხვედრაში ჩვენი გუნდი უფრო ფრთხილად იყო და უურადღებით თამაშობდა დაცვაში. მატჩის ბედიც სწორედ ამან განაპირობა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა გაიმარჯვა — 80:57 (38:27).

„სპორტპროგნოზი“

ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების მეოთხედფინალურ მატჩებზე შედგენილი პირველი სპეციტირაჟის შედეგები

1-1, 2-X, 3-X, 4-2, 5-X, 6-1, 7-X, 8-2, 9-X 10-1, 11-1, 12-1 13-X.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

ესპანეთი

22-ე ტური. „ატლეტიკო“ — „სევილია“ 2:0, „კადისი“ — „ბილბაო“ 0:0, „მალაგა“ — „ლოგრონიესი“ 0:0, „ესპანიოლი“ — „ვიგო“ 1:1, „ელჩე“ — „მურსია“ 3:0, „ვალენსია“ — „ბარსელონა“ 1:1, „ოსასუნა“ — „ვალიადოლიდი“ 0:2, „ხიხონი“ — „სარაგოსა“ 1:2, „სან სებასტიანი“ — „რეალი“ 1:1, „ბეტისი“ — „ოვიედო“ 1:0.

„რეალი“	21	52-22	35
„ბარსელონა“	22	47-17	34
„ატლეტიკო“	22	39-24	27

გდრ

მე-13 ტური. „მაგდებურგი“ — „კარლ-მარქს-შტადტი“ 0:1, „ერფურტი“ — „დინამო“ (დრეზდენი) 0:2, „უნიონი“ — „ბრანდენბურგი“ 1:2, „ვისმუტ აუე“ — „ზაქსენრინგი“ 2:1, „ჰემი“ (ჰალე) — „დინამო“ (ბერლინი) 2:2, „ჰანზა“ (როსტოკი) — „ლოკომოტივი“ (ლაიფციგი) 1:0, „კარლ ცეისი“ — „ენერგია“ (კოტბუსი) 1:2.

„დინამო“ (დრეზ.)	13	37-13	24
„ლოკ.“ (ლაიფ.)	13	21-10	16
„ჰანზა“ (როსტ.)	13	18-13	16

თურქეთი

23-ე ტური. „ფენერბახჩე“ — „დემირსპორი“ 6:0, „საკარიასპორი“ — „ბეშიქთაში“ 0:3, „ადანასპორი“ — „გალათასარაი“ 0:0, „სარიერი“ — „ალთაი“ 1:1; „ბოლუსპორი“ — „ტრაბზონსპორი“ 2:0. „მალატიასპორი“ — „ანკარაგიუჯუ“ 1:1, „კარსიაკა“ — „ესკიშეჰირსპორი“ 3:0, „კონიასპორი“ — „კმარასპორი“ 3:0, „ბურსასპორი“ — „სამსუნსპორი“ 3:0.

„ფენერბახჩე“	23	60-15	58
„ბეშიქთაში“	22	53-9	56
„სარიერი“	22	40-27	42

პორტუგალია

27-ე ტური. „ბენფიკა“ — „ბელენენსეში“ 1:0, „პორტო“ — „ფარენზე“ 5:0, „ამადორა“ — „ბოიავიშტა“ 1:1, „შავიში“ — „გიმარაეში“ 1:0, „ფაფე“ — „სპორტინგი“ 0:1, „სეტუბალი“ — „პენაფიელი“ 0:0, „ლეიქსოეში“ — „მარიტიმო“ 0:0, „ბრაგა“ — „პორტიმონენსე“ 1:1, „ბეირა მარი“ — „ვისეუ“ 2:1, „ნასიონალი“ — „ესპინიო“ 3:0.

„ბენფიკა“	27	40-10	44
„პორტო“	27	37-13	39
„ბოავიშტა“	27	38-20	33

იტალია

მე-13 ტური. „ასკოლი“ — „ფიორენტინა“ 1:1, „ჩეზენა“ — „იუვენტუსი“ 1:2, „კომო“ — „სამპდორია“ 0:2, „მილანი“ — „პესკარა“ 6:1, „პიზა“ — „ინტერი“ 0:3, „ნაპოლი“ — „ლეჩე“ 4:0, „რომა“ — „ბოლონია“ 1:1, „ტორინო“ — „ლაციო“ 4:3, „ვერონა“ — „ატალანტა“ 1:0.

„ინტერი“	19	34-10	32
„ნაპოლი“	19	40-14	30
„სამპდორია“	19	27-10	27

საფრანგეთი

28-ე ტური. „მონაკო“ — „რესინგი“ 1:0, „კაენი“ — „ტულუზა“ 3:0, „მეცი“ — „სენტ ეტიენი“ 1:2, „კანი“— „სტრასბურგი“ 4:1, „ლანი“ — „მარსელი“ 0:1, „სენ ჟერმენი“ — „ლილი“ 1:1, „ნანტი“ — „სოშო“ 0:0, „ბორდო“ —„ნიცა“ 2:0, „ტულონი“ — „ოსერი“ 1:2, „ლავალი“ — „მონპელიე“ 0:1.

„მარსელი“	28	42-24	55
„სენ ჟერმენი“	28	34-20	53
„ოსერი“	28	34-23	53

ბელგია

23-ე ტური. „ანდერლეხტი“ — „კორტრიკი“ 2:2, „სენტ ტრუდენი“ — „ლიეჟი“ 0:4, „ბრიუგე“ — „ლოკერენი“ 2:2, „ლიერსი“ — „სერკლი“ 1:1, „ბევერენი“ — „გენკი“ 2:1, „სტანდარდი“ — „მოლენბეკი“ 2:1, „ვარეგემი“ — „რესინგი“ 0:1, „ანტვერპენი“ — „ბეერსსოტი“ 4:1, „ძეჰელენი“— „მარლერუა“ 3:0.

„ძეჰელენი“	23	49-14	40
„ანდერლეხტი“	23	57-22	36
„ლიეჟი“	23	47-16	32

ჰოლანდია

22-ე ტური. „დენ ბოში“ — „ეინდჰოვენი“ 2:2, „აიაქსი“ — „ტვენტე“ 1:1, „ვოლენდამი“ — „გრონინგენი“ 0:1, „ვენლო “ — „ჰარლემი“ 1:1, „ვეენდამი“ — „როდა“ 4:4, „სიტარდი“ — „მაასტრიხტი“ 1:1, „ცვოლე“ — „სპარტა“ 1:1, „ტილბურგი“ — „ვაალვიკი“ 3:0, „ფეიენოორდი“ — „უტრეხტი“ გადაიდო.

„ეინდჰოვენი“	22
„აიაქსი“	22
„ფეიენოორდი“	21

საერთაშორისო ფეხბურთი: ფენომენები, ცხოვრებები

დაკავებული მამაკაცები

მსხვილი ამერიკული კორპორაციების გენერალურ მმართველთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ისინი კვირაში საშუალოდ 59 საათს მუშაობენ. როგორღა ისვენებენ ეს დაკავებული მამაკაცები? ფიზიკური კონდიციების და აქედან გამომდინარე შრომისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, თურმე, როგორც წესი, აქტიური დასვენების სხვადასხვა ფორმას მიმართავენ: ეს მეტწილად ან სპორტი გახლავთ, ან უბრალო ფიზიკური სამუშაო.

გახმაურებული წიგნის — „ვინ აღწევს ყველაზე მაღალ მწვერვალს ამერიკაში“ ავტორები ლუის ბუნი, დევიდ კურტცი და პატრიკ ფლენორი აღნიშნავენ, რომ აქტიური დასვენების ყველაზე პოპულარული ფორმა მათთვის სპორტი არის, პირველ ყოვლისა კი ჩოგბურთი, გოლფი ან სკვოში (კედელთან ჩოგბურთის თამაშის ნაირსახეობა). ბევრი „დაკავებული მამაკაცი“ (35-45 წლისა) უშუალოდ სპორტდარბაზში ვარჯიშობს ტრენაჟორთან, რომელიც დიდ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს. პოპულარული სახეობაა აგრეთვე „ჯოგინგი“ — ძუნძულით რბენა.

ელექტრონული კორპორაციის „ემბარტის“ გენერალურმა მმართველმა პიტერ სკოტმა თავისი ხელით ააშენა ტყეში ხის სახლი და იქ საათობით ხერხავს შეშას, თლის და აშალაშინებს მორებს, ამ დროს აბსოლუტურად გათიშული ვარ გარე სამყაროს, — ამბობს იგი. — და მხოლოდ ჩემი სამუშაო იარაღები მაინტერესებს.

სხვა გენერალური მმართველები ოჯახის სიმყუდროვეში ისვენებენ. ისინი ბევრს კითხულობენ, უმთავრესად კლასიკურ ან დეტექტურ ლიტერატურას, უსმენენ მუსიკას, იწერენ ფოლკლორულ სიმღერებს და ერთმანეთში ავრცელებენ. როკ-მუსიკის მოყვარული გამოდგა მხოლოდ ერთი ბიზნესმენი, „სიენას“ კორპორაციის გენერალური მმართველი, 45 წლის უილსონ ტეილორი. მის „ჰაიმონტელ“ კოლეგას ალექსანდერ ჯიკოს უფრო მეტად კლასიკური ჯაზი უყვარს. იგი კარგად უკრავს საქსოფონსა და გიტარაზე და ზოგჯერ მუსიკალურ პიესებსაც წერს.

აქტიური დასვენების დიდი ტრფიალია თეთრი სახლის ახლანდელი მეპატრონე, 63 წლის ჯორჯ ბუშიც, რომლის სამუშაო დღე რვისნახევარზე იწყება. მას გატაცებით უყვარს ჩოგბურთი და თავისუფალ დროს მეტწილად კორტზე ატარებს. ბუში, ამავე დროს, გატაცებულია „ჯოგინგით“. მისი წინამორბედის რონალდ რეიგანის საყვარელი გართობა კი ცხენით სეირნობა და შეშის ჩეხვა ყოფილა.

„სპორტპროგნოზი“ მე-12 ტირაჟის პროგრამა (18-19 მარტი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)			**პროგნოზი**	
1. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)	18.III	80	10	10
2. „პამირი“ (დუშანბე) — „ტორპედო“ (მოსკოვი)	18.III	10	40	50
3. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „როტორი“ (ვოლგოგრადი)	18.III	50	40	10
4. „შახტიორი“ (დონეცკი) — „უალგორნიხი“ (ვილნიუსი)	18.III	30	40	30
5. „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	18.III	50	40	10
6. „დინამო“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი)	18.III	60	30	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალათბურთში (ვაჟები, უმაღლესი ლიგა)				
7. ვეფ (რიგა) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) მეორე თამაში	18.III	40	10	50
8. „უალგორნიხი“ (კაუნასი) — ცსკა პირველი თამაში	18.III	70	10	20
9. „სტროიტელი“ (კიევი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) პირველი თამაში	18.III	60	10	30
საფრანგეთის ჩემპიონატი ფეხბურთში				
10. „ოსერი“ (ოსერი) — „ტულუზა“ (ტულუზა)	18.III	10	40	50
11. „ნანტი“ (ნანტი) — „მატრა რესინგი“ (პარიზი)	18.III	50	40	10
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში				
12. „იუვენტუსი“ (ტურინი) — „ბოლონია“ (ბოლონია)	19.III	50	40	10
13. „ლაციო“ (რომი) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი)	19.III	10	80	10

შენიშვნა: კალათბურთში მხედველობაში მიიღება ძირითადი დროის შედეგი.

ელვა-ინფორმაცია

ჟურნალ „სმენას“ პრიზზე

დასასრულს მიუახლოვდა ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, ქვეჯგუფებში შედგა ბოლო ტურის მატჩები. ისინი ასეთი შედეგებით დამთავრდა: საქართველო — ბულგარეთი 2:2, თურქეთი — უკრაინა 2:0, სსრკ-II — უნგრეთი 2:0, პოლონეთი — სსრკ-I 0:2.

ამრიგად, ქვეჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს და ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირის პირველი და მეორე ნაკრები გუნდები. III ადგილისთვის იბრძოლებენ საქართველოსა და უკრაინის ფეხბურთელები.

(ტელეფონით „ლელოს“ სპეც. კორ.).

საბატინის იძულებითი ემიგრაცია

არგენტინელმა ჩოგბურთელმა გაბრიელა საბატინიმ დატოვა სამშობლო და ამიერიდან აშშ-ში დაიდებს ბინას. საქმე ის არის, რომ მას, ფულის გამოძალვის მიზნით, ხშირად ემუქრებოდნენ. სულ უკანასკნელ ხანებში ჩოგბურთელმა ორი წერილი მიიღო ერთი და იგივე შინაარსის — სიკვდილით ემუქრებოდნენ, თუკი 250 000 დოლარს არ გადაიხდიდა.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 11 მარტს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.



3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(ა. წერეთლის გამზ. №2)

11 მარტი

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი
საზეიმო გახსნა

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი)

დასაწყისი 17 ს. 30 წ.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 8 მარტიდან, 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 9 და 10 მარტს.

საქართველოს სპორტსახკომი აცხადებს კონკურსს ამავე კომიტეტის სპეციალური პროექტორის დირექტორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

შესაბამისი საბუთები წარდგენილ უნდა იქნეს სპორტსახკომის სპორტულ ნაგებობათა სამმართველოში ათი დღის განმავლობაში ოფიციალური ინფორმაციის გამოქვეყნებისა.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი, 49-ა, ტელ: 23-50-08.

ინდექსი 88495. საქართველოს კპ ცკ-ის ვინმაცემლობის სტამბა. 380008, თბილისი, ლენინის ქ. 14. ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე, სიშარაულის ქ. 29. 9 უე 10377